

ობტიკური სატრანსპორტო ქსელები

II სემესტრი 2017-2018 წელი

(I შუალედური ტესტირების ნიმუში)

კითხვა 1

გადაცემის ობტიკური სისტემების ფიზიკური კომპონენტებია?

აირჩიეთ ერთი:

- a. სატრანსპორტო ქსელის რესურსები, ქსელური კვანძები, ჯგუფური ტრაქტები
- b. ციფრული მულტიპლექსირები, კონვერტორები, ობტიკური მულტიპლექსირები, ობტიკური მაძლიერებლები, გადაცემის გარემო, კვების ბლოკები
- c. სექციური თავსართები, ვირტუალური კონტეინერები, ტელეკომუნიკაციის მართვის ქსელი

კითხვა 2

რა აქვთ საერთო სატრანსპორტო ქსელების მოდელებს?

აირჩიეთ ერთი:

- a. აგება იერარქიული დონეების მიხედვით, სხვადასხვა ფუნქციებით თითოეული დონისათვის; არსებობა ფიზიკური დონის, რომელიც წარმოდგენილია გადაცემის სისტემით, სექციების ორგანიზებით; ვირტუალური და ფიზიკური ხასიათის ტრაქტების(მარშრუტების) წარმოქმნა; სატრანსპორტო ქსელების მომხმარებელთან ურთიერთქმედების დონეები
- b. ასინქრონული გადაცემის მეთოდის გამოყენება თითოეულ სატრანსპორტო მოდელში; სტატისტიკური მულტიპლექსირების მეთოდის გამოყენება სარეგენერატორო სექციებში; უგულვებელყოფა მომხმარებელთან ურთიერთობის დონეების
- c. სინქრონული გადაცემის მეთოდების გამოყენება თითოეულ მოდელში; სექციების ორგანიზება ვირტუალური ტრაქტის შექმნისას; ფრეიმირების ზოგადი პროცედურის გამოყენება ფიზიკურ დონეზე; კავშირის დამყარება მომხმარებელთან სამოსამსახურო არხების საშუალებით

კითხვა 3

რა ფუნქციებს ასრულებს SDH ქსელის მოდელში არხების დონე?

აირჩიეთ ერთი:

- a. გამოყოფს სინქროსიგნალს შემოსული ციფრული ნაკადიდან
- b. უზრუნველყოფს ინტერფეისებს სატრანსპორტო ქსელის მომხმარებლებისათვის
- c. აღადგენს დამახინჯებულ ციფრულ ნაკადს

კითხვა 4

რა ნაკლოვანებები აქვს პლეზიოქრონულ ციფრულ იერარქიას ?

აირჩიეთ ერთი:

- a. რეგენერირების სირთულე
- b. სიგნალის გადაცემის დაბალი ხარისხი
- c. სისტემის მოუქნელობა; მუშა მახასიათებლების კონტროლის სირთულე; მართვის არასაკმარისი ინფორმაცია

კითხვა 5

რა ძირითადი ნაწილებისაგან შედგება STM - ის ციკლი?

აირჩიეთ ერთი:

- a. სისტემური მონიტორინგის მონაცემებისაგან
- b. სექციური თავსართისა და მარგი ტვირთისაგან
- c. სერვისის კომპონენტური არხებისაგან

კითხვა 6

რამდენი ბაიტია STM-1 - ის მულტიპლექსირების სექციის თავსართში ?

Answer:

კითხვა 7

რამდენი ძირითადი ციფრული არხი გადაიტანება STM-1-ით, თუ გადაიცემა მხოლოდ E3 ნაკადები

Answer:

კითხვა 8

რამდენი კბიტი/წმ-ა TUG-2-ის სიჩქარე?

Answer:

კითხვა 9

რა უპირატესობა აქვს ვირტუალური კონტეინერების ვირტუალურ კონკატენაციას?

აირჩიეთ ერთი:

- a. ამ გზით ფორმირებული ვირტუალური კონტეინერების ჯგუფი წარმოადგენს მოქნილ სტრუქტურას, რომლის თითოეულ კომპონენტს შეუძლია გადაადგილდეს განსხვავებული მარშრუტით დანიშნულების წერტილამდე.
- b. მისი უპირატესობა მდგომარეობს უფრო მაღალი სიჩქარის გადაცემის შესაძლებლობაში
- c. ამ გზით ფორმირებული ვირტუალური კონტეინერების ჯგუფის თითოეულ წევრს აქვს თავისი ტრაქტის თავსართი (POH), რის გამოც ცალკეული შემადგენელი ნაკადის ტევადობა გაზრდილია

კითხვა 10

რა სამოსამსახურო ინფორმაცია გადაიცემა MSOH--ის S1ბაიტით?

აირჩიეთ ერთი:

- a. შეცდომების კოეფიციენტი
- b. სინქრონიზაციის სტატუსი
- c. ფრეიმის დაკარგვის შეტყობინება